Deloitte.
Legal

MAKING AN IMPACT THAT MATTERS since 1845

საქართველო

Deloitte Legal

18 მარტი 2022

საქართველოს საკანონმდებლო სიახლეები

იხელმძღვანელეთ კანონმდებლობით

შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება N 3751

2022 წლის 1 მარტიდან ძალაში შევიდა შემოსავლების სამსახურის უფროსის ბრძანება N 3751, რომლითაც განისაზღვრა:

- დღგ-ის გადამხდელის სტატუსი;
- არაკვალიფიციური დღგ-ის გადამხდელის სტატუსის მინიჭება და გაუქმება;
- გადასახადის გადამხდელის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალურ წესზე გადაყვანა;
- სპეციალური წესით მოსარგებლე პირის მიერ გამოწერილი ელექტრონული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე დღგ-ის ჩათვლის წესი;
- საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის გამოყენების სპეციალური წესის შეწყვეტის საფუძვლები.

© 2022 შპს დელოიტი და ტუში

საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა სავალდებულო ვიდეომეთვალყურეობას დაქვემდებარებული ობიექტების ჩამონათვალი

2022 წლის 2 მარტს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება N101, რომელიც ამტკიცებს იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალს, რომელთა გარე პერიმეტრზე სავალდებულოა ფოტო ან/და ვიდეომონიტორინგი და განსაზღვრავს ამ მიზნით განსათავსებელი ტექნიკის მახასიათებლებს.

დადგენილების თანახმად ვიდეომეთვალყურეობის სისტემის განთავსება/დამონტაჟება სავალდებულოა იმ შენობა-ნაგებობებზე, რომელშიც ხორციელდება საცალო ან საბითუმო ვაჭრობა, სტუმართა მასპინძლობა/განთავსება (სასტუმროები, მოტელები), საკვებითა და სასმლით მომსახურება (რესტორნები, ბარები, ა.შ), თუ აღნიშული ეკონომიკური საქმიანობის დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვა ნებისმიერი წინა უწყვეტი 12 კალენდარული თვის განმავლობაში აღემატება 500 000 (ხუთასი ათასი) ლარს. დადგენილებით განსაზღვრული ობიექტები ვალდებულნი არიან უზრუნველყონ კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისობა 2023 წლის 1 ივნისამდე.

დადგენილება განსაზღვრავს იმ დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელთაც კანონმდებლობის საფუძველზე ევალებათ ვიდეომეთვალყურეობის სისტემის განთავსება მიუხედავად მათი საქმიანობის დღგ-თი დასაბეგრი ბრუნვისა:

- სიგარაბარები;
- ბაზრები და სავაჭრო ცენტრები;
- სამორინეები, აზარტული კლუბები, ტოტალიზატორები, სათამაშო აპარატების სალონები, ლოტო და ბინგო;
- ავტოგასამართი სადგურები ან ავტოგასამართი კომპლექსები;
- სტაციონარული სამედიცინო დაწესებულებები, აფთიაქები;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები და სესხის გამცემი სუბიექტები;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები;
- სხვა ობიექტები, რომელთა სალიცენზიო, სანებართვო, სარეგისტრაციო ან ავტორიზაციის პირობაც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ითვალისწინებს ვიდეომეთვალყურეობის სისტემის ქონის ვალდებულებას.

დადგენილების მიზანია დანაშაულის პრევენცია და პირთა უსაფრთხოებისა და საკუთრების უფლების დაცვა.

კანონპროექტი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ

2022 წლის 15 მარტს პარლამენტმა მეორე მოსმენით მიიღო კანონპროექტი მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ.

კანონპროექტი აერთიანებს ევროკავშირის 6 დირექტივასა და 1 რეგულაციას და ნერგავს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპულ სტანდარტს.

კანონპროექტი არეგულირებს შემდეგ საკითხებს:

- მომხმარებლის უფლებების დაცვის ზოგადი პრინციპები;
- მომხმარებლისა და მოვაჭრის ძირითადი უფლებები და ვალდებულებები;
- სამომხმარებლო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული გარანტიები;
- საგარანტიო ვადები და მომსახურებასთან დაკავშირებული ვალდებულებების დარღვევის შედეგები;
- ხელშეკრულების უსამართლო სტანდარტული პირობები, ასეთი პირობების ბათილობის წესი და მტკიცების ტვირთი;
- უსამართლო კომერციული საქმიანობის აკრძალვა;
- მომხმარებლის უფლებების დაცვის ინსტიტუციური გარანტიები.

პროექტის თანახმად, კანონის აღსრულებაზე პასუხისმგებელ უწყებად განისაზღვრება საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო.

© 2022 შპს დელოიტი და ტუში

საკონტაქტო ინფორმაცია

შეკითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ მიმართოთ დელოიტის საქართველოს ოფისის შესაბამის თანამშრომლებს:

გიორგი თავართქილაძე
საგადასახადო და იურიდიული
დეპარტამენტის დირექტორი
gtavartkiladze@deloitte.ge

გიორგი ხუროძე
იურიდიული სამსახურის უფროსი
gkhurodze@deloitte.ge

თბილისი
ბიზნეს ცენტრი King David
მერაბ ალექსიძის ქ. 12, მე-15 სართული
თბილისი, 0171,
საქართველო

Tel: +995 (32) 224 45 66
Fax: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

© 2022 შპს დელოიტი და ტუში

Deloitte.
Legal

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების გლობალურ ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს (ერთობლივად „ორგანიზაცია დელოიტი"). DTTL (რომელიც ასევე მოიხსენება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი") და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს, რომელთაც არ აქვთ უფლება აიღონ ერთმანეთის ვალდებულებები მესამე პირთან მიმართებაში. DTTL და მისი ყოველი წევრი კომპანია და მასთან დაკავშირებული ორგანიზაცია პასუხისმგებელია მხოლოდ საკუთარ და არა ერთმანეთის ქმედებებსა და უმოქმედობებზე. DTTL კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს www.deloitte.com/about.

დელოიტი არის აუდიტორული და მარწმუნებელი, საგადასახადო და იურიდიული, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების და რისკების მართვის მომსახურებების წამყვანი მიმწოდებელი. ჩვენ კლიენტებს შორისაა Fortune Global 500-ის დაახლოებით 90% და ასევე, ათასობით კერძო სექტორის კომპანია. ჩვენი პროფესიონალები უზრუნველყოფენ ხანგრძლივი და გაზომვადი შედეგების მიღწევას, რაც ამყარებს საზოგადოების რწმენას კაპიტალის ბაზრების მიმართ, ეხმარება კლიენტებს გარდაქმნასა და განვითარებაში და საფუძველს უყრის ძლიერ ეკონომიკას, სამართლიან საზოგადოებას და მდგრად განვითარებას. დელოიტის ისტორია 175 წელზე მეტს ითვლის და წარმოდგენილია 150-ზე მეტ ქვეყანაში. დელოიტის 345 000-ზე მეტი პროფესიონალი მთელს მსოფლიოში მუშაობს იმ შედეგების მისაღწევად, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ვიამაყოთ. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს www.deloitte.com.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად, არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანია ("DTTL"), მისი წევრი კომპანიების გლობალური ქსელი და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი, როგორც „ორგანიზაცია დელოიტი") ამ შეტყობინების საფუძველზე არ ახორციელებს პროფესიულ კონსულტაციებს და მომსახურებას. რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, კონსულტაცია უნდა გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან.

დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები, თანამშრომლები და აგენტები არ იძლევიან არანაირ პირდაპირ ან ნაგულისხმევ რწმუნებას ან გარანტიას ამ შეტყობინებაში მოცემული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეზე და არ არიან პასუხისმგებელი რაიმე დანაკარგზე ან ნებისმიერი ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება წარმოიქმნას ნებისმიერ პირთან მიმართებაში, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას. DTTL და მისი წევრი კომპანიები და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციები არიან იურიდიულად დამოუკიდებელი ცალკე პირები.

@ 2022 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.